

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ  
საკითხთა, განათლების, კულტურისა და  
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი № 3

ქ. ლანჩხუთი

22.04.2019 წელი

15.00 საათი

**სხდომას ესწრებოდა:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ემზარ თევდორაძე;**

**კომისიის წევრები:** რეზო კვაჭაძე, ზაალ სანაძე, ბესიკ კუპრაძე, კარლო კვიციანიშვილი, კახა თედორაძე, გოდერძი ქურიძე, გიორგი გვარჯალაძე, ცისანა ურუშაძე.

**სხდომას ესწრებოდა:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი **თამარ ფირცხალაიშვილი**, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **მაია კუპატაძე**, მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია**.

**სხდომის თავმჯდომარემ, ემზარ თევდორაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ემზარ თევდორაძე/

2. სხვადასხვა

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა

**კომისიის თავმჯდომარემ, ემზარ თევდორაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:**  
**მომხრე 9; წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელმა თამარ ფირცხალაიშვილმა. მან განაცხადა, რომ 1). დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4-ე მუხლის „კ“ და „ო“ ქვეპუნქტებში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების პროგრამა განცხადება, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის (საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ოჯახისათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის ამონაწერი; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა (ასლი) ან ცნობა; ბენეფიციარის საბანკო ანგარიში. გადაწყვეტილება

მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით.“

„ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა-განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის (საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა ან დასკვნა. მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით.“

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 5. განცხადებების განხილვა**

1. მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ განცხადებებს განიხილავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური და საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სამსახურის მომზადებული ბრძანების პროექტის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები.

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4-ე მუხლის „ვ“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პროგრამებიდან დახმარებების გაცემის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე იქმნება კომისია რომლის შემადგენლობაში შედის: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი; მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი; მერიის იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი; მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი; მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი და საკრებულოდან მოწვევით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით და არის სარეკომენდაციო ხასიათის. კომისია უფლებამოსილია შეიკრიბოს თვეში ერთხელ მაინც. კომისიის ოქმის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით(ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები.

კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ** განაცხადა, რომ მე-4-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებულია, ბენეფიციარმა უნდა წამოადგინოს: სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა (ასლი) ან ცნობა. მისი მოსაზრებით შესაძლებელია არ მოსთხოვონ ბენეფიციარს აღნიშნული საბუთი და ამოიღონ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალთა სიიდან.

საკრებულოს დეპუტატი **ცისანა ურუშაძე** დაინტერესდა, თუ როგორია ბენეფიციართა აქტივობა „მედიკამენტების შეძენის დახმარების პროგრამის“ ფარგლებში.

**თამარ ფირცხალაიშვილმა** განაცხადა, რომ ზამთრის პერიოდში, ბენეფიციართა აქტივობა საკმაოდ დიდია, აგრეთვე იმატა ონკოლოგიური პაციენტების მომართვიანობამ და ვენმარებით შესაძლებლობების ფარგლებში.

**კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე გათვალისწინებული იქნას შემდეგი სახის შენიშვნა:

1. მე-4ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტში „სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაწეული შესაბამისი მიმართვა (ასლი) ან ცნობა“, ამოიღონ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალით სიდიდან.

განკარგულების პროექტი შენიშვნის გათვალისწინებით გადაეცეს საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის სხდომას განსახილველად.

**მომხრე 9: წინააღმდეგი არცერთი**


**2. სხვადასხვა**

1. კომისიის თავმჯდომარემ ემზარ თევდორაძემ განაცხადა, რომ ხეერ, სოციალურად შეჭირვებულ ოჯახს არ აქვს სარეატივო ქულა განსაზღვრული. ქულის მინიჭებას დაახლოებით ორი თვე აგვიანდება. სასურველია სოციალურ პროგრამებში არ იყოს განსაზღვრული სარეატივო ქულა.

2. საკრებულოს წევრმა გიორგი გვარჯალაძემ გამოიქვა მოსაზრება რომ, მუნიციპალიტეტში საკმაოდ ბევრი ბენეფიციარია რომლებიც „შეტადონის“ პროგრამით სარგებლობენ. ისინი ყოველდღიურად სამიტრედიაში, ოზურგეთში ან შათლში იღებენ პრეპარატს, მათი ტრანსპორტირება არ ფინანსდება. პროგრამაში ჩართულ ადამიანებს მართვის მოწყობასთან დაკავშირებითაც აქვთ პრობლემები. ანდენილ სასურველია განიხილას მატერიალური რესურსი და დაეზღვრონ აღნიშნულ ბენეფიციარებს.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ღანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და  
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე



ემზარ თევდორაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და  
ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავის 37 0 494 22 31 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,  
განათლების, კულტურისა  
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის № 3 სხდომის  
დასკვნა

ქ. ლანჩხუთი

22.04.2019 წ.

2019 წლის 22 აპრილს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.


კომისიამ მთლილ გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე გათვალისწინებული იქნას შემდეგი სახის შენიშვნა:

1. მე-4ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში „სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა (ასლი) ან ცნობა“, ამოღებულ იქნას წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალია სიიდან.

2. განკარგულების პროექტი შენიშვნის გათვალისწინებით გადაიციეს საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა  
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

 ემზარ თევდორაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,  
განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი  
22.04.2019 წელი  
15.00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. თავმჯდომარე – ეშვარ თევდორაძე	15:00	
2. კარლო კვიციანიშვილი	14:55	
3. გოდერძი ქურიძე	15:00	
4. კახა თევდორაძე	15:00	
5. რეზო კვაჭაძე	15:00	
6. ზაალ სანაძე	15:00	
7. ზესიკ კუპრაძე	15:00	
8. ამირან ქანთარია	—	sh ესწე ბოძა
9. გიორგი გვარჯალაძე	15:00	
10. რეზო კვერენჩხილაძე	—	sh ესწე ბოძა
11. ელისო ქიქინაძე	—	sh ესწე ბოძა
12. ამირან გაგინეიშვილი	—	sh ესწე ბოძა
13. ლელა ჩახვაძე	—	sh ესწე ბოძა
14. ცისანა ურუშაძე	15:00	